

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით და დგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

1. ფინანსების დარგის ფართო ცოდნასთან ერთად კურსდამთავრებულს შესძინოს საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში პრაქტიკული საქმიანობისა და დაგეგმვისათვის საჭირო ცოდნა და უნარები.
2. თანამედროვე საფინანსო-საბანკო ტექნოლოგიების გამოყენებით აღჭურვოს და განუვითაროს საჭირო უნარ-ჩვევები საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო ოპერაციების და პროცესების მართვაში მონაწილეობის მისაღებად.
3. კურსდამთავრებულებს შეუქმნას ფინანსების მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. აღწერს საფინანსო ინფრასტრუქტურას, ფინანსურ ინსტიტუტებს, ფინანსური მენეჯმენტის, საინვესტიციო საქმიანობის და საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების მნიშვნელობას ცოდნის ცალკეული თანამედროვე ასპექტის გათვალისწინებით.
2. განმარტავს ფინანსების თანამედროვე თეორიებს, ფინანსურ ინსტიტუტებში განხორციელებულ ოპერაციებს და პროცესებს, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის და მომსახურების დაგეგმვასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაზე ზემოქმედ ფაქტორებს.
3. მოიძიებს და აანალიზებს ინდივიდების, ორგანიზაციების, ინსტიტუტების საფინანსო საქმიანობის შესახებ მონაცემებს, გამოთქვამს რაციონალურ ვარაუდებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს.
4. იყენებს ანალიზის პროცესში მონაცემების დამუშავების შესაბამის უახლეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეუძლია ფინანსური ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი ოპერაციების შესრულება თანამედროვე საფინანსო-საბანკო ტექნოლოგიების გამოყენებით.
5. აფასებს საფინანსო-ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოს, მიმდინარე ფინანსურ მოვლენებს, საბანკო და სადაზღვევო ბიზნესში მიმდინარე პროცესებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
6. ამყარებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებითა და ტექნოლოგიებით;
7. მონაწილეობს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სფეროს შესაბამისი ნაშრომის/პროექტის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
8. ასრულებს პროფესიულ საქმიანობას საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში ეთიკის, პროფესიული პასუხისმგებლობის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი

შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სავალდებულო სასწავლო კურსები	კრედიტი
1.	ბიზნესის საფუძვლები	5
2.	ეკონომიკის საფუძვლები	5
3.	გამოყენებითი ინფორმატიკა	4
4.	მათემატიკა ბიზნესისათვის	5
5.	ინგლისური ენა - B1 (ინტენსიური)	5
6.	თავისუფალი კომპონენტი	5
7.	ფინანსების საფუძვლები	5
8.	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა 3.1	5
9.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	5
10.	ინგლისური ენა - B2 (ინტენსიური)	5
11.	ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა	3
12.	აკადემიური წერის ელემენტები	3
13.	თავისუფალი კომპონენტი	5
14.	ფინანსური აღრიცხვა	5
15.	საფინანსო და საბანკო საქმიანობის ნორმატიული რეგულირება	5
16.	მენეჯმენტის საფუძვლები	5
17.	მარკეტინგის საფუძვლები	5
18.	საბანკო საქმის საფუძვლები	5
19.	თავისუფალი კომპონენტი	5
20.	კორპორაციული ფინანსების საფუძვლები	5
21.	ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები	ფინანსურ 5

	ინდუსტრიაში	
22.	საჯარო ფინანსები	5
23.	ფინანსური ინვესტიციები	5
24.	თავისუფალი კომპონენტი	5
25.	საბანკო ოპერაციები და პროცესები	3
26.	აღრიცხვა ბანკში	5
27.	ბანკის საოპერაციო სისტემები	3
28.	ბიზნესის საგადასახადო რეგულირება	4
29.	სადაზღვევო საქმე	5
30.	პრაქტიკა - „საბანკო საცალო პროდუქტების პოზიციონირება და გაყიდვა“	5
31.	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ორგანიზებასა და მართვაში	5
32.	თავისუფალი კომპონენტი	5
33.	მენეჯერული აღრიცხვა	5
34.	საფინანსო-საბანკო პროექტების მართვის სისტემები	4
35.	საანგარიშსწორებო სისტემები	3
36.	მონეტარული პოლიტიკა	3
37.	ფინანსური ანალიზი	5
38.	საბაკალავრო ნაშრომი	5
39.	თავისუფალი კომპონენტი	5
	არჩევითი სასწავლო კურსები	
40.	ინფორმაციული ტექნოლოგიები აღრიცხვაში	5
41.	აუდიტი	5
42.	ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საფუძვლები	5